



## თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა კურსების კატალოგი

### გენდერი უსაფრთხოების სექტორში

#### მიზანი:

უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობის, მეინსტრიმინგის და გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების მნიშვნელობის და მექანიზმების/პრაქტიკების გაცნობა.

#### განსახილველი საკითხები:

- გენდერის და მასთან დაკავშირებული (გენდერული თანასწორობის, გენდერული სამართლიანობის, გენდერული მეინსტრიმინგის, სტერეოტიპების, სექსუალური შევიწროების, მტრული სამსახურებრივი გარემოს და ა.შ.) ცნებები და ტერმინები;
- გენდერული თანასწორობა და გენდერული ბარიერები ქვეყნის კონტექსტში;
- გენდერული თანასწორობა, გენდერული სამართლიანობა, გენდერული მეინსტრიმინგი, თავდაცვისა და უსაფრთხოების ორგანიზაციებში, საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების უწყებები, ნატო, ევროკავშირი, გაერო;
- ორგანიზაციული კულტურა და სექსუალური შევიწროება როგორც ბარიერი გენდერული თანასწორობისთვის;
- ქალები მშვიდობა და უსაფრთხოება ოპერაციებში, გენდერული პერსპექტივების ინტეგრირება სამშვიდობო და სამხედრო ოპერაციებში, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობა.

#### სასწავლო ამოცანები:

- გენდერის, როგორც ტერმინის, გენდერული თანასწორობის და მეინსტრიმინგის მნიშვნელობის შესახებ ცოდნის გაზიარება;
- თანაბრი უფლებებისა და შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით არსებული ბარიერების ანალიზი;
- ოპერაციებში გენდერული პერსპექტივების ინტეგრირების კონცეპტუალური ჩარჩოსა და საერთაშორისო პრაქტიკების შესახებ ინფორმაციის მიმოხილვა.

## კურსის შედეგად განვითარებული უნარები:

- გენდერის საკითხებთან ცოდნა და გაცნობიერება;
- გენდერული კონცეპტუალური ჩარჩოების პრაქტიკაში დანერგვის უნარი;
- სხვადასხვა პრაქტიკების და მექანიზმების ანალიზის უნარი;
- მიმდებლობა და კულტურული ტოლერანტობა.

## სწავლების ფორმა:

- დისკუსია/დებატები;
- ინდივიდუალური და ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
- შემთხვევის ანალიზი (Case study);
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება.

## სწავლების მეთოდოლოგია:

აუდიო მასალები/ტუტორიალები;

გონებრივი იერიში;

შემთხვევების ანალიზი;

დისკუსია;

საავარჯიშოები;

საგანმანათლებლო პოდკასტები;

სალექციო კურსი;

შემეჯამებელი დისკუსია.

**სამიზნე აუდიტორია:** თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის სპეციალისტები და საშუალო რგოლის მენეჯერები.

**კურსის ხანგრძლივობა:** 1 დღე.

**მონაწილეთა რაოდენობა:** 15-20.

**სწავლების ენა:** ქართული/ ინგლისური.

**კოდი:** SSOPM3-2021.